**ინფორმაცია სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტო“-ს 18.07.2022 წლის N21/3575 და 29.07.2022 წლის N21/2995 წერილებში მოყვანილი შენიშვნებზე რეაგირების შესახებ**

| N | შენიშვნის შინაარსი | რეაგირება |
|---|---|---|
| **18.07. 2022 წლის N21/3575 წერილში მოცემული შენიშნები:** | | |
| 1. | სკოპინგის ანგარიშში არ არის წარმოდგენილი და დაზუსტებას საჭიროებს ინფორმაცია ტექნოლოგიურ პროცესში ნარჩენების გამოყენების შესახებ. ამასთან, იმ შემთხვევაში თუ კომპანია გამოიყენებს რაიმე სახის ნარჩენებს მოცემული უნდა იყოს შესაბამისი ნარჩენის კოდი, რაოდენობა, აღდგენისა/განთავსების ოპერაციის კოდი; | შპს „გეო ენერჯი“-ს საპროექტო ფეროშენადნობთა საწარმოს ტექნოლოგიურ ციკლში ნარჩენების გამოყენება დაგეგმილია რ არის. იხილეთ სკოპინგის ანგარიში პარაგრაფი 3.2.1. |
| 2 | დაზუსტებას საჭიროებს ინფორმაცია წიდის დროებითი დასაწყობებისა და პირობების შესახებ. ასევე, ინფორმაცია წიდის შემდგომი მართვის ღონისძიებების შესახებ; | წიდის საწარმოს ტერიტორიაზე დაგროვება გათვალისწინებული არ არის. წიდის ორმოდან ამოღებული წიდა დროებით განთავსდება საწარმოო შენობის ჩრდილოეთის მხარეს გამოყოფილ უბანზე, საიდანაც გატანილი იქნება შპს „გრუპი“-ს მიერ შემდგომი გამოყენების მიზნით. იხილეთ სკოპინგის ანგარიში, პარაგრაფი 3.3. |
| 3 | სკოპინგის ანგარიშში დაზუსტებას საჭიროებს ინფორმაცია წარმოების პროცესში მოსალოდნელი ნარჩენების კოდებისა და დასახელების შესახებ; ასევე მე-8 გვერდზე მოცემული ინფორმაცია, ინერტული ნარჩენების რაოდენობისა (კოდი, დასახლება) და შემდგომი მართვის შესახებ; | საწარმოს ექსპლუატაციის პროცესში მოსალოდნელი ძირითადი საწარმოო ნარჩენებიდან წიდა მოსალოდნელია 15 120 ტ/წელ, ხოლო მტვერდამჭერი ფილტრებიდან მიღებული მტვერი 2 520 ტ/წელ. იხილეთ სკოპინგის ანგარიში პარაგრაფი 4.5. |
| 4 | ნარჩენი კოდით 10 08 16 (გამონაბოლქვი აირების მტვერი, რომელსაც არ ვხვდებით 10 08 15 პუნქტში) წარმოადგენს სარკისებურ კოდს, შესაბამისად მისი კლასიფიკაცია და შემდგომი მართვა საჭიროებს დაზუსტებას. | იხილეთ სკოპინგის ანგარიში პარაგრაფი 4.5. როგორც ანგარიშშია მოცემული მტვრის სახიფათოობის დადგენა მოხდება ლაბორატორიული კვლევის შედეგების მიხედვით. |
| **29. 06. 2022 წლის N21/2995 წერილში მოცემული შენიშვნები:** | | |
| 1 | ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, სსიპ - ქალაქ თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებით წარმოდგენილი იქნა წერილი N16-0122174938, რომლის თანახმად, საპროექტო მიწის ნაკვეთზე (ს/კ № 01.18.13.033.139) „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის | სსიპ - ქალაქ თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებით წარმოდგენილ N16-0122174938 წერილთან დაკავშირებით, ჩვენს მიერ სსიპ „გარემოს ეროვნულ სააგენტო“-ში მიმდინარე წლის 30 ივნისის წერილით წარმოდგენილია ინფორმაცია, რომ საწარმოს |

| | | |
|---|---|---|
| | მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, ვრცელდება სამრეწველო ზონა 1 (ს-1) და მცირედ ნაწილზე სატრანსპორტო ზონა (ტზ-1). **ამასთან, სსიპ - ქალაქ თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ცნობით, ტერიტორიაზე მოქმედ ფუნქციურ ზონაში ს-1-ში ფეროშენადნობი ქარხანა არ წარმოადგენს არც დასაშვებ და არც საგამონაკლისო წესით დასაშვებ სახეობას.** დაინტერესებაში არსებული ტერიტორია ხვდება ასევე თვითმფრინავების ასაფრენი ზოლის შეზღუდვის არეალში, სადაც ნებისმიერი შენობა-<br>ნაგებობის განთავსების ადგილი და სიმაღლე დაინტერესებულმა პირმა უნდა შეათანხმოს აეროდრომის ექსპლუატანტთან შპს „ტავ ურბან საქართველოსთან". | ექსპლუატაციის პროცესში უახლოესი საცხოვრებელის ზონის საზღვარზე მაცნე ნივთიერებათა ზენორმატიული გავრცელება მოსალოდნელია მოსალოდნელი არ არის.<br>აღსანიშნავია, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ გაცემულია თანხმობა საწარმოს მოწყობასთან დაკავშირებით, ხოლო საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს მიერ გამოცემულია 2022 წლის 15 ივნისის N98-04 ბრძანება საწარმოს მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცების თაობაზე. (2022 წლის 30 ივნისის წერილის და თანმხლები დოკუმენტაციის ელექტრონული ვერსიები თან ერთვის სკოპინგის განაცხადს).<br>შპს „ტავ ურბან საქართველო"-ს წერილის მიხედვით, საპროექტო საწარმოს მოწყობა და ექსპლუატაცია საპროექტო ტერიტორიაზე დასაშვებია (წერილის ასლი მოცემულია სკოპინგის ანგარიშის დანართში N3). |